# სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელად: მან.

ერთის წლისა — 4 მან. — 3

ნახევრის წლისა — 3 — — 2

სამის თვისა — 1 მ. 50 კ. — 1 მ.

მესამე წელიწადი

გამოდის შაბათობით

ხელის-მოწერა მიიღება.

თფილისის «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ», при типографіи Дубелира (Г. Церетели и к°).

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სა[illegible]თლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომე[illegible]იმყოფება თფილისში, დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ). სტამბაში.

№ 20 შაბათი | III | 30 ოკტომბერი, 1870 წ.


## შინაარსი:

— ჩვენი ქვეყნის ამბები. სამეცნიერო ნაწილი: ძილის წარმოების ამბავი. — ტანისა და ტვინის დამოკიდებულება ერთმანეთთან. — ინგილოეთიდგან: საკვირველი მოვლენა სხვადასხვა ამბავი. ნიადაგის სითბოს გავლენა ხოლერის გაჩენაზე. — ეთერის სმა. — საექიმო ნაწილი. — პირზე დაყრილი მეწუკები.

## ჩვენი ქვეყნის ამბები.

14 ოკტომბერს სამშაბათს საღამოს ტფილისიდგან შევნიშნეთ, რომ ერთი ცის კუთხე კავკასიის მთებისკენ, ესე იგი ჩრდილოეთით სისხლის ფერათ გაწითლდა. ცოტას ხანს შემდეგ ამ წითელ ფერზე დაიწყო ციმ-ციმი ნათელმა სვეტებმა. ღამე იყო წყნარი და შავი ვარსკვლავებით მოჭედილი. ბაღში მოსიარულეებს ყველას უკვირდათ ეს მოვლენა. ერთი ჩემი მეგობარი მარწმუნებდა, რომ დუშეთის მაზრაში ბალახები იწვის და იმის სინათლეაო.

*
* *

რამდენიმე დღე გავიდა ამ მოვლენის შემდეგ და სხვა-და-სხვა კუთხიდგან მოვიდა ამბავი, რომ ის შესანიშნავი მოვლენა იმ ქვეყნებიდგანაც დაუნახავთ, მაგალითად, ახალციხიდგან, სამეგრელოდგან, ქუთაისიდგან, გორიდგან, სიღნახიდგან, ვლადიკავკასიდგან და სხვ. რასაკვირველია, ასე დიდ ადგილებზე ბალახების ცეცხლი არ გამოჩნდებოდა, თუნდ მთელი საქართველოს მინდვრებიც რომ გადამწვარ იყო. — უეჭველათ ამის მიზეზი ციური მოვლენა უნდა ყოფილიყო. მართლაც ეს იყო ჩრდილოეთის ნათება.

*
* *

ჩვენ რადგან უფრო თბილ ქვეყნებზე ახლოს ვართ, ამისთანა მოვლენას ძვირათ ვხედავთ და იმ ქვეყნებში, სადაც ძლიერ ცივა, მაგალითად პეტერბურგის მხარეზე და იმის იქით ძალიან ხშირათ არის ხოლმე ჩრდილოეთის ნათება და არც არავის აკვირვებს; ის კიარა კიდეც უხარიათ იქ ამისთანა ნათელის გამოჩენა, რადგანაც, იქ ძალიან გძელი ღამეები იცის და ჩრდილოეთის ნათება თუ დაიწყო, იქაურს სიბნელით დახშულს ქვეყნებს კიდეც გააცოცხლებს.

*
* *

მეცნიერებს ჯერ ვერ აუხსნიათ ნამდვილათ, რისგან არის ეს მოვლენა. ჩვენში რომ ამბობენ. როდესაც ძალიან სისხლის ღვრა მოხდება ქვეყანაზე, მაშინ სისხლის ნაკადულები ცაზე დაიხატებიანო, — ეს სულ ტყუილია. რაზედაც გონება არ მიუწვდება უსწავლელ კაცს, იმაზე ბევრს ჭორს და სისულელეს მოიგონებს; მაგრამ გონიერმა კაცმა მაინც არ უნდა დაიჯეროს ამისთანა ბოდვა.

*
* *

მეცნიერები ყოველ წლივ დადიან იმ ჩრდილოეთის მხარეში, სადაც ეს ჩრდილოეთის ნათება ჩნდება ხოლმე და იმათი სიტყვითა, როგორ იწყება ეს მოვლენა. ჯერ ჩრდილოეთისკენ გძლათ გაეკვრება შავი ღრუბლის ლენტი. მერე ამ ბაწარა ღრუბელზე დაეხვევა რამდენიმე შავი ბურთი, ბოლოს ამ ბურთების გულები დაიწყებენ ნათებას და ეს სინათლე თან-და-თან დიდდება; მერე მთლად ბურთებიც განათლდებიან, ბოლოს სინათლე თან-და თან ვრცელდება, ასე რომ უწინ რომ შავი გაკრული ღრუბელი იყო, ახლა ის სულ ფართო ნათელ ზოლათ გადაიქცევა. ამ დროს შუა ალაგებიდგან სხივის კონები იწყებს ციმ-ციმს და ეს სხივები ნახევარს ცას სულ დაიჭერენ. აი, ეს სხივის კონები მოსჩანან ნათელ სვეტებათ. თუ დიდი ნათება არის, ძალიან შორის ქვეყნებიდგან გამოჩნდება, როგორც წელს იყო; თუ არა და, პეტერბურგიდგანაც ძლივს სჩანს ხოლმე. დიდი ჩრდილოეთის ნათება ძვირათ მოხდება და ამისგამო ჩვენი ქვეყნიდგანაც იშვიათად იხედება; ჩრდილოეთის ცივ მხარეში კი თითქმის ყოველ წლობით ანათებს ეს მოვლენა.

*
* *

ბოლოს ზემოხსენებული სხივის კონები თან-და-თან მოკლდებიან ჭქრება, მერე თვითონ ნათელი ზოლიც იწყებს ჭქრობას და

სულ გაქრება, აი ამ გვარათ თავდება ჩრდილოეთის ნათება.

## სამეცნიერო ნაწილი

### ძილი

ვისაც ჩვენი «სასოფლო გაზეთისთვის» თვალი უდევნებია, ესე იგი უკითხავს თუნდ ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში, იმას ნამდვილათ ეცოდინება, რომ ჩვენი ჰაერი ორი ჰაერგვარისგან არის შემდგარი. ერთს ჰქვია მძარ-თავა, რომელიც გვაძლევს სიცოცხლის ღონეს და მეორეს აზოტი, რომელიც თავის-თავათ არ ვარგა, მაგრამ როგორც წყალი გაურიოს კაცმა მაგარს ოტკაში და იმით განელოს იმის სიმაგრე, ისე აზოტი ერევა მძარ-თავას და ანელებს იმის ძლიერს ცხოველს მოქმედებას კაცის სხეულზე.

*
* *

ამ სახით ჩასუნთქებულს ჰაერში უფრო მომეტებული მძარ-თავაა, ვიდრე ამოსასუნთქავში, რადგან რომელიმე ნაწილი მძარ-თავისა რჩება სზრდოსავით სხეულში.

*
* *

შენიშნულია, რომ დღისით უფრო ცოტას მძარ-თავას იღებს კაცი ფილტვებში, ვიდრე ღამით. აი, ამ ცნობებითგან შეადგინა ერთმა მეცნიერმა სწავლა ძილის წარმოებაზე.

*
* *

იმის ფიქრით დღისით რადგან კაცი დიდს შრომაშია — ის დადის, მოძრაობს, ფიქრობს — ამისთვის უფრო ბევრი ტანის ნაწილები ეხარჯება და ამისგამო უფრო ბევრს მძარ-თავასაც სდომულობს; დღისით ძალიან ბევრი მძარ-თავა უნდება კაცს. მეცნიერებმა შენიშნეს, რომ სისხლი და ხორცი გატენილია ხოლმე ჩასუნთქებული მძარ-თავით და სანამდის ეს მძარ-თავის სამზადისი საკმაოთ აქვს სხეულს, მანამდის ტანი მუშაობს და არც ძილი ეკიდება. როდესაც მძარ-თავა გამოელევა სხეულს, მაშინ კაცი ჰგრძნობს დაღალულობას და ძილი მოსდის.

*
* *

ძილში კაცი გაჩერებულია, ამისთვის მძარ-თავა არ ეხარჯება. სუნთქვა კი ძილშიაც აქვს კაცს, ამისთვის ფილტვებში ოფშვინვით ჩასული მძარ-თავა უჯდება სისხლსა და ხორცს და იქ ახლათ გროვდება მძარ-თავა. კაცს სძინავს, ანუ მოსვენებულია ვიდრემდის იმდენს მძარ-თავას არ მოაგროვებს ტანში, რომ მთელი დღისათვის საკმაო იყოს. მერე კი გამოეღვიძება ახალი შრომისთვის, რომელსაც უნდება ტანში დაგროვილი მძარ-თავა. ძილში კი არა, დასვენებაშიაც იკრებს ახალ მძარ-თავას კაცი და ამ შემთხვევაში მუშაობის თავის დანებება, ანუ მოსვენებაც ძილის მგზავსია, თუმცა მშვიდობიანობით ძილს მაინც ვერ შეედრება, ამიტომ რომ გარდა მოძრაობის შეწყვეტისა, ძილში სულ ყველა გრძნობა დახშული აქვს კაცს, მაშინ როდესაც დასვენებაში თუმცა კაცი არ მოძრაობს, მაგრამ თვალით მაინც ხედავს ყურით ისმენს, შეხებას ჰგრძნობს და სხვა. ამ სახით ძილი არის ის მდგომარეობა კაცის სხეულისა, როდესაც იმას მძარ-თავა სულ გამოლევია და უნდა მოაგროვოს ოფშვინვით იმ დროს, როდესაც ყოველივე გრძნობა და მოძრაობა გაჩერებული აქვს.

*
* *

### ტანისა და ტვინის დამოკიდებულება ერთმანეთთან:

ერთი ახალ-გაზრდა ფრანცუზის მეცნიერი ბევრს იკვლევდა ცხოველების ტვინებს და იმათ ტანის სიდიდეს. ბოლოს ამ საქმის გამომიებიდგან, აი რა აზრი წარმოსთქვა: ერთსა და იმავე გვარის ცხოველებში, რომელნიც უფრო პატარა ტანისანი არიან, იმათ უფრო მცირე კორხლები აქვს თავის ტვინზედ; ამასთანავე საზოგადოთ ტვინიც უფრო პატარა აქვსო.

*
* *

ამსახით დარესტი ამტკიცებს, რომ ტვინის სიდიდესა და ტვინის კორხლების სიმრავლეს, იმათ სიდიდეს და საზოგადოთ მთელი თავის ტვინის სიდეს შუა ეს დამოკიდებულება არისო: რაც უფრო დიდი ტანის არის ცხოველი, ისე უფრო უმრავლდება და უდიდდება ტვინის კორხლები, აგრეთვე თვითონ ტვინიც მატულობს. და რაც უფრო პატარავდება ცხოველი, ისე ტვინიც უფრო კლებულობს და კორხლებიც მცირდება.

*
* *

ამ ამბის შესახებ ერთი მეცნიერი ოხუნჯობით ლაპარაკობს, კარგი ამბავი ვერ მოგვიტანა დარესტის გამომიებამო. შენიშნულია, რომ ახლანდელი შთამომავლობა ბევრათ უფრო წვრილი და პატარა ტანის არის, ვიდრე ძველი კაცებიო და ნუ თუ იმას-და-გვარათ ტვინიც მოგვაკლდესო და ტვინთან გონებაც დაგვიმოკლდესო?

## ინგილოეთიდგან

### საკვირველი მოვლენა.

ერთი ამბავი მოხდა ამ 1870 წლის დასაწყისში ხოფელს კახში. ამ ამბავმა მე ძალიან დიდათ გამაკვირვა. თუმცა ბევრი ვეცადე იმის გაგებას, მაგრამ მართლად ვერ მივხვდი. ამისთვის მე მსურს ეს უცნაური მოვლენა აუწერო და შევატყობინო მკითხველს. ამ წლის 15-ს იანვრიდგან მთელს კახში ხმა დავარდა, რომ მცხოვრებს ფურაბიშვილის სახლს რაღაცა უხილავნი არსებანი აოხრებენ და შიგ მცხოვრებლებს ქვას აყრიან, თავს უტეხავენო, ეზოში სიარულის დროს ქვას ესვრიან ზე სხვანიდგან, სადაც ინგილოები ინახავენ ფეტვს, ჩალტუთს (ბრინჯს,), ხორბალს, პურს და სხვა ყოველფერს, რაც საჭიროა მათთვის ცხოვრებაში, ყველას შიგ ცეცხლში ჰყრიან, ასე რომ სახლის პატრონი იძულებულ იყო სახლ-კარისთვის თავი დაენებებინა, თუ რომ კიდევ გამეორებულიყო. ეს ამგვარი მოვლენა ერთის თვის განმავლობაში დილის ცხრა საათზე და შუადღის ორის საათზე მუდამ განიმეორებდა, მუდამ დღე მრავალი კაცი მიდიოდა იმ სახლში ამ მოვლენის თავის თვალით სახილველათ და დასარწმუნებლათ. ამ მნახველებში ურევიან აგრეთვე კახის ბაზრის სომხებიცა ყველა ეს მნახველები ერთ ხმათ ამტკიცებენ, რომ ის ყველაფერი რაც მე ზევით მოვიხსენიე მართალიაო. ხალხი განცვიფრებაში იყო და სახლის პატრონი კი მწუხარებაში. ესენი იყვნენ ერთი ქვრივი ბებერი დედა-კაცი თავის ქვრივის ახალ გაზრდა რძალით, გასათხოვარი ქალით და სხვა წვრილი ყმაწვილებით. ამათ ხალხი ურჩევდა, რომ გამოსულიყვნენ სახლიდგან და სხვაგან ეცხოვრნათ, მაგრამ ის ბებერი არავის არ უგონებდა გაუსვლელობის მიზეზათ იმას ამბობდა, რომ ამისთანა მშვენიერ ქვითკირის სახლს, რომლის აგებაშიაც იმოდენა ჯაფა გაგვიწევია და ფული დაგვიხარჯავსო, თავს არ დავანებებთო.

დაიწყო თუარა ეს მოვლენა, ხალხი მაშინვე შეუდგა გამოძიებას, უნდოდა შეეტყო, რისგან არისო ეს ამბავი. რასაკვირველია მაშინვე კაცები გაათვრინეს მკითხავებთან და მეჯადოვე მოლებთან ან მკითხავებმა და მეჯადოებმა ბევრი სამარხო დაპირება და ცბიერება დახარჯეს, მაგრამ არა ეშველარა: ქვის სეტყვა არამც თუ წყნარდებოდა, არამედ უფრო ძლიერდებოდა. მოლა რომ მოვიდოდა და დაიწყებდა თავის სათილისმო წიგნის კითხვას, მაშინვე მიაყრიდნენ თურმე თავ-პირში ქვას და ის იმულებული თავს ანებებდა ამ უხილავი არსებაების გაძევნის წამლობას. ამ მეჯადოვე მოლებს და მკითხავებს ჰპატივსა სცემენ არამც თუ ქრისტიანი ინგილოები, არამედ მუსულმანნიცა.

ამითაც რომ არ ეშველა რა ამ ოჯახის დამაწიოკებელი მოვლენის დაწყნარებას, მაშინ სოფლის მამასახლისმა შეატყობინა ეს ამბავი ადგილობრივს ნაიბს. ამან ბრძანა მაშინვე, რომ სასოფლო სასამართლოს თავის მწერლის თანადასწრებით გამომიება მოეხდინა. აი ყველანი: ორი მამასახლისი, სამი სუდია, ნაიბის მწერალი და სხვა მრავალი ამბის შეტყობის მსურველი ხალხი, მივიდნენ იმ სახლში; ყველანი ერთად, დამდგარან ცეცხლთან ახლოს და ნაიბის მწერალს უთქვამს სახლის პატრონისთვის: «აბა, აგი რა არის, რათა სტყუვით და აწუხებთ ხალხს რაღაცა ტყუილი ამბებით: ეშმაკებს და ქაჯებს რა უნდათ აქ; აბა ეხლა რატომ არ ისვრიან ქვას, გეტყობათ სტყუვით.» როგორც ვსთქვი თუ არა ეს სიტყვებიო, მითხრა ამ მწერალმა, მაშინვე გაჩნდა სახლში ჭერებიდგან ქვის სროლა, ასე რომ აქ მყოფი ხალხი ყველანი განცვიფრებაში მოვედით, ყველას შეგვეშინდა და, აი, ამ დროს ერთი მუშტის ტოლა ქვა შიგ ზურგში მომხვდაო. ამაზე მე უფრო შემეშინდა და გამოვარდი კარში, მე გამამყვნენ სუდიები, მამასახლისები და სხვა ხალხი, ასე ამგვარათ ვნახე მე ეს განსაცვიფრებელი მოვლენა. მალიან მიკვირს, თუ საიდგან ასტყდა ეს ქვის ჩახა-ჩუხი და სროლა, ვიყურებოდით აქა-იქ, მაგრამ ვერასა ვხედავდით. ეს ამბავი მე ვკითხე სუდიებს, მამასახლისებს და ყველა ხალხს, რომლებშიაც თათრებიც ურევიან, და ყველანი ამტკიცებენ, რომ ეს მოვლენა დღის ცხრასა და თოხ საათზე განიმეორებაო. ამ თავის სიტყვების დასამტკიცებლათაც ისინი ამბობდნენ, რომ სახლში მცხოვრებლებს თითქმის ყველას თავ-პირი აქვთ დასისხლიანებული.

მთელი ხალხისა, მამასახლისებისა სუდიებისა და ნაიბის (დიანბეგის) მწერლის ამ გვარი ლაპარაკი, არ დავფარავ, მე მალიან მაკვირვებდა. თუმცა ეს ამბავი მე სრულიად ტყუილათ მიმაჩნდა, მაგრამ მაინც ცნობის მოყვარებამ გამიტაცა. მე მივედი დღის თორმეტ საათზე და შევედი შინ სახლში, თუმცა მარწმუნებდნენ ჩემი ამხანაგები, რომ ნუ იჭვნეულებ და ნურას ერევიო, ცუდი საქმე მოგივაო, მაგრამ მე მაინც არ დავიშალე და აქაც გამოვიჩინე ხასიათი: დავიწყე ლაპარაკი იჭვნეულებით, მაგრამ წინაღმდეგ ჩემი ამხანაგებისა, რომელნიც მოელოდნენ ამ ურწმუნოებისთვის თავ-პირის ამომსხრევას ვერაფერი ვიხილე რა. აქ ჩემდროს არ მოხდა არც ქვის სროლა, არც თიხის ჭურჭლის დამტვრევა და არც არაფერი, მაგრამ ვიხილე რამდენიმე გატეხილი თიხის ჭურჭელი, რომლების დამსხვრევასაც მე მარწმუნებდნენ ამ უცნაური მოვლენისაგან. მე გამოვიკითხე ყოველი გარემოება და ყოველივე ისრე და იმ სახით მიამბეს, როგორათაც გარეშე ხალხმა. მომეტებული აქ მე ვერა გავიგე რა, მხოლოდ ის კი ჩემის თვალით ვიხილე, რომ კომბლები ასხდა მოხუცებულ დედა-კაცს თავზე, ერთს ყმაწვილს თავი ჰქონდა გატეხილი და მეორე გასათხოვარს ქალს თავიც გატეხილი ჰქონდა და კლავიც ნატკენი, ერთის სიტყვით სახლში ყველას ერთი ნიშანი ეტყობოდა ქვის სეტყვისაგან.

მე მალიან მეწყინა, რომ ჩემს დროს არ მოხდა ეს მოვლენა, ამის მიზეზათ მე ის მითხრეს, რომ ეხლა დრო არ არისო: შუადღისას არ მოხდება ხოლმეო. და, აი, რომ გამოვდიოდი შინადამ ერთი პატარა ქვა ავიღე და რომ მივდიოდით ეზოში თოვლზე ჩემი ამხანაგის წინ გავისროლე, რომელმაც, დაინახა თუ არა გადმოვარდნილი ქვა, მაშინვე მითხრა:» აი, თუ არა, აგი არ დავიჯერებო, აი ეს ქვა ჩვენ გვესროლეს» და დაიწყო ჩემი დარწმუნება, რომ ყოველიფერი, რასაც ვამბობ მართალი არისო.

რამდენიმე დღის შემდეგ მე კიდევ შევედი ამ ქაჯების სახლში, მაგრამ კიდევ ვერა ვნახე რა. ამ ჟამად მე მოხუცებული დედაკაცი ბევრი ვალაპარაკე და თუმცა მე მუდამ იმას ვეუბნებოდი, რომ ტყუილი უფილა რასაც ლაპარაკობდით, მაგრამ ის ისრე ცხადათ ლაპარაკობდა ყოველისფერს, რომ მე მიკვირდა იმისთვის, რომ ჩემს აქ ყოფნაში არა მოხდა რა. აგრეთვე ვერაფერი ვნახა რა კახის შკოლის მასწავლებელს, რომლის აზრსაცამ შემიხვევაში ფასი ექნებოდა. მაგრამ ჩემთან ერთობ ესეც კი ჰკვირობდა, რომ თუ ტყუილი არის ეს ამბავი, მაშ ეს ამოდენა ხალხი რადამ გააგიჟა-ისინი რაღათღა ტყუიანი. ალბათ ერთი რამე საიდუმლოება ჰხდება, თორემ მე არა ვგონებ, რომ ხალხმა მოიტყუილოს. დამე რომ ჰხდებოდეს ეს ყოველიფერი, კიდევ შეიძლებოდა ეჭვი, მაგრამ ყველაფერი, რასაც ლაპარაკობენ ჰხდება, ყველას თვალ წინ დღისით ელანდება და აბა აქ რაღა ეჭვი უნდა იყვეს. მე მახსოვს ერთი ამგვარი შემთხვევა მოუხდარიყო გორში და იმას სწერდნენ რუსულს გაზეთში კავკაზში. თურმე ეს გორის ამბავი, დიდხანს საიდუმლოთ დარჩა და ბოლოს კი რომ ამის ჩამდენები ყოფილიყვნენ გორელნი, რომელთაც ჯავრი სჭირებიათ ამ სახლის პატრონისა. იქმნება ეს ამბავიც ამ გვარი რამე იყოს და ჩვენ გვაბრიყვებენ, თუმცა დღისით ხდება და თუმცა ემებენ, მაგრამ ვერასა ჰპოულობენ. ამაზე მე სიცილი დავიწყე და ვსთქვი: იქმნება სადმე უჩინ-მაჩინის ქუდი უპოვიათ, ის თავზე ხურავთ და ამისთვის ჩვენ ვერასა ვხედავთ. კახში ზოგი-ერთნი ამბობენ, რომ ეს ქუდი დაუხურავთ იმ ქვრივი რძლის გულისათვის, რომლისაც ჰსურთ გათხოვება და ამისთვის აშინებენ და აზიზღებენ სახლსა, რძალიც კარგი ჩაკაკებული ვინმეა. ის ეხლა გათხოვდა, ასე მოგახსენებენ სოფელში, თორემ აბა მე არავიცი, სად რაამბავია. იქმნება ამ სახლმყოფებმაც იციან ეს ყველაფერი და იმისთვის თავს არ ანებებენ სახლს. თუ არა და რომ არ შეიძლება, ბატონო: კაციც რომ იყოს შეეშინდებოდა და აბა ეგენი ხომ დედაკაცები არიან. ამდენს რომ ელაპარაკებიან სახლს თავი დაანებეო, რატომ სხვაგან არ გადასახლ-

დებიან, თუ მართლაც ყველაფერი უწალავი და უცნაური არსებისაგან ხდება. სწორეთ რომ ყველა კაცი, რაც გინდ უშიშარი იყოს, შეშინდება; და ეგენი ხომ დედა-კაცები არიან, მაგათ უფრო არ უნდა ეშინოდეთ. თუ ასე არ იყოს, ისინი გიჟები ხომ არ არიან, რათ ჩაადგებოდნენ თავიანთ სიცოცხლეს იმ ჯურს საფთხეში, სადაც კი ყოველს ჟამს სიკვდილს ან დაბეჟას უნდა ელოდეს. მაგრამ გასაკვირი ეს არის, რომ ყველაფერი დღისით ხდება და სხვა გარეშე ხალხიც ხედავს. ამასთანავე ის ქვრივი რძალი ეხლა აქ არა სცხოვრებს: ის ქვევით სოფელში იმყოფება, სადაც კახელებს ფრონის ბინები აქვთ. ზოგნი კი ამბობენ, რომ—ეხლა იმათ რომ ბებერი კაცი მოუკვდათ, ის გაცოცხლებულა და იმის აკრულობისაგან ხდება ეს ყველაფერიო.

ინგილო ჯანაშვილი.

1870 წ. 24 ოკტომბერს.

## სხვა და სხვა ამბავი

ერთი სახელოვანი დოქტორი ამბობს, რომ მიწის სითბოს დიდი ზედმოქმედება აქვს ხოლერის გაჩენაზე და იმის გავრცელებაზე. ყველამ იცის რომ სითბო მალიან მძიმეთ გაატანს მიწას. დიდი ხნის შენიშვნით შეუტყვიათ, რომ მიწა უფრო დამთბარია აგვისტოში სეკდემბერსა და ოკტომბრის თვეში მაინც უმეტესათ და ყველაზე უფრო გაციებული თებერვალშია. ქალაქებში სახლები მიწაში ღრმათ ჩადგმულნი ზამთრით, როცა იმათ ათბობენ, როგორც ფეჩები ისე მოქმედებენ თვითონ მიწაზე.

* * *

ნიადაგის სითბოს მალიან დიდი ზედ მოქმედება აქვს იმ ორგანიანი ნივთიერების დარღვევაზე და დალპობაზე, რომელნიც შიგ იმყოფებიან. ამისგამო ხოლერა მაშინ უფრო უნდა გაჩნდეს და გავრცელდეს, როცა მიწა უფრო გამთბარია და შიგ მყოფი მცენარისა და ცხოველის ნაწილები უფრო ადვილათ ლპება. მართლაც რომ დააკვირდეს კაცი, დიდი ხოლერობა მაშინ არის ხოლმე, როცა მიწა უფრო გამთბარია, მაგალითად აგვისტოში, სეკდემბერსა და ოკტომბრის თვეებში. და-არასოდეს, ან მალიან მცირეთ შეუნიშნავთ ეს ავათ-მყოფობა იქ, სადაც ნიადაგი მალიან გაციებულია, მაგალითად თებერვალში და მარტში.

* * *

ეთერის სმა. ეთერი არის ერთნაირი სპირტი, რომელიც ყოველს სპირტს გადაემეტება სიმაგრით. წარჩინებულმა მეცნიერმა ერთი საკვირველი ამბავი შეიტყო, რომ ირლანდიის ქვეყანაში კაცებს ეთერის სმა დაუწყიათო. ის ამბობს, რომ ირლანდიაში არიან ისეთი კაცები, რომელნიც სმენ ეთერს იმავე გვარათ, როგორც რუსეთში ოტკას, საფრანგეთში აბზინდის ოტკას და ჩინეთში ხაშხაშს (ოპიუმს). დიდი ხანი არ არის, რაც ეს ჩვეულება შემოვიდა ირლანდიაში: ხუთი წელიწადი თუ იქნება, მეტი არა, ამბობენ ეთერის სმის შემოღება სამღვდელოების ბრალიაო.

* * *

იმათ უნდოდათ გადაეჩვევინებინათ ერი ფურის არაყის სმასა და იმის მაგიერათ ეთერის სმა დააწყებინეს. ვაის შევეყარე და უის გავეყარეო, აბა, ეს არის. აი, უნდოდათ ცუდი ჩვეულება მოესპოთ ერში და უარესს კი შეაჩვიეს. მაინც ზოგჯერ მსწავლელი ყოველს ქვეყანაში ამისთანა საქმეებს სჩადის: თვითონ ჰსურს, ვითომც ერის ზნეობის გასწორება და ზნეობის გაუმჯობესობის მაგიერათ უფრო ახდენს. რადგან ეთერი წყალში ზეთივით გროვდება, ამისთვის ირლანდიელები, ვინც იმას სმენ, დალევის წინათ ერთ სტაქანს წყალს გადაჰკვრენ, მერე ეთერსა და მერე კიდევ წყალს, რომ ცოტათ შეუმსუბუქოს სტომაქს ასე მაგარი სასმელის დალევა.

## საექიმო ნაწილი

პირზე დაყრილი მუწუკები. ბევრია იმისთანა კაცი, რომელსაც პირის კანზე ანთებს ყვლის და ალაგ-ალაგ ამისგამო მუწუკებს გამოჭყრის. მერე ისინი დაჩირქიანდებიან დასქდებიან, გამოირწყვიან და იმათ მაგიერათ წითელი ლაქები რჩება პირის კანზე. ზოგს ისეთ ნაირათ გამოყრის, რომ იმის გამო კაცის სახე დამახინჯებულია და ერთ ალაგს რომ მორჩება მუწუკი, მერე მეორე ალაგას გამოჭყრის და ამ სახით [illegible] ავათ-მყოფობა დიდხანს არ დაანებებს თავს კაცს. აქამდის არაფერი წამალი არ მისდგომია;—ისეთი საშუალება ვერა მოუგონიათ რა, რომ ეს ავათ-მყოფობა ვისაც სჭირს, მოსცილდეს.

* * *

ყველაზე უფრო ნამდვილი წამალი ამ შემთხვევაში ზოგიერთ საჭმლის თმობა და ექიმის დარიგების ასრულებაა.

* * *

მუწუკი ხშირად იმ ალაგას გამოებმის კაცს, სადაც ჯერ თბილი წყლით და საპნით მობანენ და მერე სამართებლით მოპარსვენ. შესაძლებელია, რომ მდუნე (ბლაგვმა) სამართებელმა აჩეჩოს პირის კანი და შემდეგ საპონიც რომ მოხვდება, აუწვავს კანს და მუწუკს გაუჩენს. ამ შემთხვევაში მალიან სასარგებლო იქნება მოპარსვის შემდეგ თხის ქონი წაისვას კაცმა მონაპარსზე.

* * *

ბევრნი ერჩევენ სხვა-და-სხვა გესლიან წამლებს მუწუკების გასაქრობათ, მაგრამ ეგების მაგიერათ წყენის მეტს არას გაუკეთებენ. ყველას ემჯობინება ამ შემთხვევაში ან სულ თავი დაანებოს პირის მოპარსვას და ან თუ მოიპარსვენ, ეცადონ მალიან ბასრი სამართებელი ახმარონ, ან გაპარსვის მაგიერათ გაიკრიჭონ.

* * *

ზემოთ მოხსენებულ მუწუკებისთანა დაყრილი ბევრჯერ გამოაჩნდება კაცს შუბლზე და საფეთქლებზე. ზოგი ამ მუწუკის გამოსვლა თმის ბრალია. ამისთანა მუწუკებსაც ბევრს ვერას ეხმარება წამლობა. ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო ეხმარება, დვივის ხავსიანი მალამო რომ დაიდვას კაცმა მუწუკზე. ამასთანავე უნდა ეცადოს, რომ შუბლზე თმა აღარ ჩამოუშვას.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Октября, 1870 г. დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.